



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი № 19

2020 წელი 21 დეკემბერი

ქ. ბაღდათი

12:30 საათი

2020 წლის 21 დეკემბერს შედგა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: შალვა მშვილდაძე ნოდარი გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, გაბრიელ ღიბრაძე, მამუკა გორგოძე, სიმონ ჭოლოკავა, გურამი კიკნაველიძე, გიორგი რობაქიძე, გია სახამბერიძე..

მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ლერი გუმბერიძე -მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში უფროსი სპეციალისტი ნათია ცისკაძე და საკრებულოს აპარატის იურისტი ირინე აბაიშვილი.

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა: სალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოსულია წერილობითი წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, საკითხი ეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს“. სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომაზე განსახილველი საკითხი:

დღის წესრიგი

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი დამტკიცდა

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10 ბიუროს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ბიუროს წევრებს გააცნო ის ცვლილებები, რომელიც 2020 წლის ბოლოსათვის უნდა განხორციელდეს ბიუჯეტში.

აზრი გამოთქვეს: შალვა მშვილდაძემ, გურამი კიკნაველიძემ, ნოდარი გიორგიძემ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა ბიუჯეტის ცვლილებებთან დაკავშირებით, კომისიის წევრებს გააცნო გურამ კიკნაველიძემ, ამავე კომისიის თავმჯდომარემ.

ბიურომ გადაწყვიტა:

აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს 2020 წლის 22 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-10 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 10 ბიუროს წევრი

ბიუროს სხდომამ გადაწყვიტა:

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში, რომელიც გაიმართება 2020 წლის 22 დეკემბერს 11:00 საათზე, შეტანილი იქნეს შემდეგი საკითხი:

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე